პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი

The rule of protection of vocational students' rights and legitimate interests

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დირექტორი
_____ა.დიასამიძე
21.07.2025 წ.

დადგენილება:
2025 წლის 21 ივლისის სენატის სხდომა, ოქმი N08

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1) შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი ადგენს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის (შემდგომში - „საზღვაო სასწავლებელი“ ან „სასწავლებელი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა უფლებებისა და მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს.
2) პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები ინტეგრირებულია საზღვაო სასწავლებლის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტსა და პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურება სასწავლებლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული.
3) საზღვაო სასწავლებელი ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებში მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ნერგავს სტუდენტთა უფლებების დარღვევაზე გამჭვირვალე და სამართლიან რეაგირების მექანიზმებს.
4) წინამდებარე წესის მიზანია სასწავლებლის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშესაწყობად ქმედითი მექანიზმის განხორციელების უზრუნველყოფა და სასწავლებელში არსებული პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ პროფესიული სტუდენტებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება.
5) წინამდებარე წესი და პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ხელს უწყობს საზღვაო სასწავლებლის მისიის აღსრულებასა და განსაზღვრული ღირებულებების დაცვას - სამართლიანობა, ჰუმანურობა, ტოლერანტობა, თანაბარი შესაძლებლობები, მრავალფეროვნება, თავისუფლება, კეთილსინდისიერება, აკადემიური თავისუფლება, ღიაობა და გამჭირვალეობა.
6) სასწავლებელი პერიოდულად აფასებს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილებას მათი მხარდამჭერი მექანიზმების, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობას და საჭიროების შემთხვევაში, აუმჯობესებს მათ.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ნორმატიული ბაზა

1) საზღვაო სასწავლებელის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასის ნორმატიულ საფუძველს წარმოდგენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, პროფესიულ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება.
პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა ასევე ხორციელდება სასწავლებლში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციით დადგენილი წესით.
2) საზღვაო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი (დებულება) არეგულირებს სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასთან, მობილობასთან, განათლების აღიარებასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს;
3) პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. მომსახურების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლის პირობები, სასწავლებელსა და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა. ხელშეკრულება შემუშავებულია პროფესიული სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე და საზღვაო სასწავლებელი უზრუნველყოფს მისი შინაარსის გაცნობას პროფესიულ სტუდენტებისთვის.
4) სასწავლებელში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, რომელიც სასწავლებლის ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადგენს პროფესიულ სტუდენტთა ქცევის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს რომელიც შეიძლება წარმოიშვას სწავლის პროცესში.
5) პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები გარანტირებულია ასევე სასწავლებლის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით - ეთიკის კოდექსი, პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების დებულება და სხვა.
6) პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა ასევე ხორციელდება საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის უფლებები

1) ყველა ის პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და სასწავლებლის მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს სასწავლებლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სარგებლობს პროფესიული სტუდენტის სტატუსით.
2) ყველა პროფესიული სტუდენტი თანასწორია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების წინაშე. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია.
3) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
    3.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება;

3.2 სასწავლებლის მიერ დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო,საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

3.3 გაწევრიანდეს პროფესიულ სტუდენტურ გაერთიანებებში/საინიციატივო ჯგუფებში, რომლებიც სასწავლებელში პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვისა და მრავალეფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თანამშრომლობენ პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილებასთან და ახდენენ პროფესიული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხების ინიცირებას;

3.4 საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობაში.

3.5 თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს პრიფესიულ სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

3.6 თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

3.7 საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლებლის რეგულაციებით განსაზღვრული წესით გადავიდეს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3.8 საქართველოს კანონმდებლობისა და სასწავლებლის წესდებისა და სასწავლებლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან, სასწავლებლისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

3.9 აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

3.10 ინიცირება მოახდინოს ან/და მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში.

3.11 სასწავლებლის რეგულაციების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებაში;

3.12 კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით;

3.13 უზრუნველყოფილი იყოს სასწავლებლის მიერ მისი ცოდნის სამართლიანი შეფასებით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

3.14 გამოიყენოს სასწავლებლის შიდა გასაჩივრების ინსტრუმენტი, საკუთარი უფლებების დასაცავად.

3.15 სასამართლოში გაასაჩივროს სასწავლებლის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

3.16 განახორციელოს ამ წესით, სასწავლებლის სხვა რეგულაციებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

4) პროფესიული სტუდენტის მიერ პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს პროფესიული სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

5) სასწავლებელს ეკრძალება საკუთარი უფლებამოსილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, გარდა კანონმდებლობით და სასწავლებლის რეგულაციებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის უფლებები დისციპლინური საქმისწარმოებისას

1) პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასწავლებლის რეგულაციებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, კანონმდებლობით გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით.
2) პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს პროფესიული სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, სასწავლებლის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
3) დისციპლინური წარმოების განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
   ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
   ბ) დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, ისარგებლოს დაცვის უფლებით;
   გ) მიაწოდოს სათანადო ორგანოებს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
   დ) მონაწილეობა მიიღოს სათანადო ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
   ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროდ და განსაზღვროს პირები, რომელთა სხდომაზე მონაწილეობა მიაჩნია მართებულად.
   ვ) სასამართლოში გაასაჩივროს სასწავლებლის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
4) დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტების უფლებების და კანონიერი დაცვის ინსტიტუტები

სასწავლებელში პროფესიული სტუდენტების უფლებების და კანონიერი დაცვის ინსტიტუტებია:
1) პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა;
2) პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება;
3) პროფესიული განათლების დეპარტამენტი და სასწავლებლის ადმინისტრაცია.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

სასწავლებელში პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებია:
1) პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ სტუდენტური მხარდაჭერის პროექტების განხორციელება, პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა სასწავლებელში;
2) პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების მიერ სტუდენტების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ქმედებები

3) პროფესიული განათლების დეპარტამენტის და სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა და წარმოქმნილ პრობლემებზე რეაგირება;
4) სასწავლებლის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამები;
5) პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო კომპონენტში მიღებული შეფასებისა და სასწავლებლის ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული გასაჩივრება;
6) პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულება;

მუხლი 7. პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილებისა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

1) თუ პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება ან პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა დაადგენს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს, ისინი უფლებამოსილი არიან:
   - ✓ მიმართონ უფლებადამრღვევ პირს პროფესიული სტუდენტის უფლებების დარღვევის ფაქტის აღკვეთისა და დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. , გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
   - ✓ თუ მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა პროფესიულ სტუდენტთა უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტი, მიმართონ სასწავლებლის ადმინისტრაციას იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;
   - ✓ პროფესიული სტუდენტის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად წინადადებები და რეკომენდაციები გაუგზავნონ სასწავლებლის იმ სტრუქტურულ ერთეულებს ან ადმინისტრაციულ პერსონალს ან/და სხვა პირებს, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია პროფესიული სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;
   - ✓ წინადადებით მიმართონ შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს თუ საქმის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები.

შემმუშავებელი:

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი
დავით ჩხაიძე _____

იურიდიული განყოფილების უფროსი
გიორგი დიასამიძე _____

პერსონალის დოკუმენტებთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	მაია დავითიანი	სასწავლო პროცესის მენეჯერი		
2	რუსუდან დიასამიძე	ხარისხის სამსახურის უფროსი		
3	ნათია დიასამიძე	ადამიანური რესურსების მენეჯერი		
4	თამარ დარჩიძე	სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმენელთა მომსახურების განყოფილების უფროსი		
5	მზია დუმბაძე	არქივარიუსი		
6	მარიამ დიასამიძე	რეგისტრაციის, მობილობისა და რეესტრის მწარმოებელი		
7	ომარ დიასამიძე	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი		
8	მამუკა სურმანიძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ კაპიტანი		
9	გიორგი დავითაძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ უფ.მექანიკოსი		
10	ამირან ფუტკარაძე	პროგრამის ხელმძღვანელი		
11	ალექსანდრე ხინველი	პროგრამის ხელმძღვანელი		
12	თამაზ თებიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
13	ნინო ჯაყელი	პროფესიული განათლების მასწავლებელი		

14	ანზორ შარაშიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
15	ზვიად ზამთარაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
16	თეიმურაზ შამილაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
17	თემურ ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
18	ალიკო ბარამიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
19	თენგიზ კონცელიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
20	ედგარ ნაკაიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
21	თამარ გუჩმანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
22	დარეჯან ასამბაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
23	ირაკლი ბეჟანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
24	ინგა სურმანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
25	მირანდა ჭინკაძე-ბაბუნაშვილი	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
26	ლიუდმილა ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
27	ნანა ბრუნჯაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
28	მზია ბაკურიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
29	სოფიკო მამულაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
30	ზურაბ ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
31	რევაზ ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		

32	ივანე დავითიანი	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
33	ბადრი გიორგაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
34	ირაკლი გოგიტიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
35	რუსლან დიასამიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
36	აკაკი ესანჯია	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
37	არჩილ ნაკაშიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
38	კახაბერ ქათამაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		

პერიოდული შემოწმების ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები